თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7217976

ნომერი: AR11056985

თარიღი : 12.09.2024

გაცემის თარიღი : 16.09.2024

გაცნობის თარიღი : 16.09.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს სარეკონსტრუქციო ხაზობრივი ნაგებობის შესაბამისი კონკრეტული ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);

- ასევე, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. ინფორმაცია (საკადასტრო მონაცემები) ხაზობრივი ნაგებობის და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის რეკონსტრუქციაც მოთხოვნილია განცხადებით, ასევე ამავე ნაგებობის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა;

2. სამონტაჟო ტერიტორიის, მიწის ნაკვეთის ან/და არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ნაგებობის მესაკუთრეთა თანხმობა, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში – ასევე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობა;

3. შპს „ინდუსტრიული ქალაქის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404580191) უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ განმცხადებლის ია ჩეხერიას (პირადი N01017025224) სახელზე წერილობით გაცემული და სანოტარო წესით დამოწმებული ანდა შპს „ინდუსტრიული ქალაქის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404580191) უნივერსალური მაიდენტიფიცირებელი ბეჭდით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება, ანუ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (მინდობილობაში ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.